

ოქმი N1

ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მორიგი სხდომის

2020 წელი, 15 იანვარი

ქ. ოზურგეთი

11.00 საათი -13.30 საათი

თავმჯდომარეობდა: დავით დარჩია, მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარე.

ესწრებოდნენ: გ.ღურჯუმელიძე-მუნიციპალიტეტის საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე. მუდმივმომქმედ კომისიათა თავმჯდომარეები: ლ.ბიგვავა, ლ.საჯაია, გ.ჩაგანავა, გ.კილაძე, ე.გორდელაძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს ფრაქციათა თავმჯდომარეები: ტ.აროშიძე, ლ.მგელაძე, ბ.დოლიძე, დ.ჭაკნელიძე, გ.ჩავლეშვილი, გ.თოიძე, შ.გოგობერიძე; მუნიციპალიტეტის საკრებულოს წევრები: მ.გოგობერიძე, ნ.ორაგველიძე, დ.მამალაძე, დ.მდინარაძე, ვ.ბერიძე, ლ.ნინიძე, პ.კილაძე, გ.ჩავლეშვილი, მ.ზოიძე, ვ.ჩხაიძე, ბ.თოიძე, ლ.კილაძე, ალ.ღლონტი, ვლ.ჩავლეშვილი, ჯ.თავართქილაძე, თ.ტულუში, ვლ.ღლონტი, თ.ბურჭულაძე, ლ.სიჭინავა, მ.ბერიძე.

მუნიციპალიტეტის მერის მოადგილე - ი.სირაძე.

მუნიციპალიტეტის მერიისა და საკრებულოს აპარატის პასუხისმგებელი მუშაკები, საზოგადოების, მასმედიისა და არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლები.

სხდომის თავმჯდომარე დ.დარჩია მიესალმა საკრებულოს წევრებს, დამსწრეთ, მიულოცა შობა-ახალი წელი-კალანდა, განაცხადა, რომ წლევეანდელ კალანდობას ოზურგეთში ესწრებოდნენ საპატიო სტუმრები: ქვეყნის პრეზიდენტი, პარლამენტის თავმჯდომარე, ელჩები. აღნიშნა პრეზიდენტის ინიციატივაზე - ჩიჩალაკს და კალანდობას მიენიჭოს არამატერიალური კულტურის ძეგლის

სტატუსი, ხაზი გაუსვა, რომ წლის პირველი საკრებულოს სხდომა უნდა იყოს საკრებულოს ნაყოფიერი მუშაობის საწინდარი. მიაწოდა ინფორმაცია ქვორუმზე -46 წევრიდან რეგისტრაცია გაიარა 34-მა, სხდომა უფლებამოსილია შეუდგეს მუშაობას. გააცნო სხდომის დღის წესრიგი, რომელიც დაამტკიცეს 34-ხმით.

დღის წესრიგი

1.1. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის 2020 წლის ბიუჯეტით გათვალისწინებული სოციალური დახმარების გაცემისა და მიღების წესის დამტკიცების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს დადგენილების მიღების შესახებ.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: მარინა ჯაფარიძე

დადგენილება თან ერთვის

მიღებულ იქნა 34-ხმით

სხდომის თავმჯდომარემ დ.დარჩიამ განაცხადა, რომ დადგენილების პროექტის დახვეწაზე იმუშავეს როგორც მერიის შესაბამისმა სამსახურმა, ასევე საკრებულოს კომისიამ, შენიშვნები გათვალისწინებული იქნა. თანამომხსენებელმა მ.ჯაფარიძემ ისაუბრა გათვალისწინებულ შენიშვნებზე და აღნიშნა, რომ ერთი შენიშვნა, რომელიც მე-15 მუხლს შეეხებოდა არ იქნა გათვალისწინებული ხარჯების ზრდის გამო.

სივრცით-ტერიტორიული დაგეგმარების და ინფრასტრუქტურის კომისიის თავმჯდომარემ ლ.ბიგვაჟამ განაცხადა, რომ კანონმდებლობის თანახმად, კორექტირებულ პროექტს თან უნდა ახლდეს ახსნა-განმარტებითი ბარათი შენიშვნების თაობაზე, რომელიც მომავალში ყველამ უნდა გაითვალისწინოს.

დარგობრივი კომისიის თავმჯდომარემ ლ.საჯაიამ განაცხადა, რომ მართალია შენიშვნები გაითვალისწინეს, მაგრამ გათვალისწინებული არ იქნა ის შენიშვნები, რომელთა გასწორება შეუძლებელია ბიუჯეტში ცვლილებების შეტანის გარეშე, ამიტომ დადგენილება მიღებული უნდა იქნას ბიუჯეტთან შესაბამისობაში, ხოლო ბიუჯეტის დაზუსტების დროს განხორციელდება შესაბამისი ცვლილებები დამტკიცებულ წესში. სხდომის თავმჯდომარის წინადადებით, საკრებულოს წევრებმა მხარი დაუჭირეს ამ წინადადებას.

1.2. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების საპრივატიზაციო ობიექტების ნუსხის დამტკიცების შესახებ“-ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გოჩა კილაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 34-ხმით

2.3. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ქ.ოზურგეთში, გურიის ქუჩაზე (აგრარული ბაზრის ტერიტორია) მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების 23 კვ.მ. მიწის ნაკვეთის და მასზედ მიმაგრებული შენობის (ს/კ 26.26.48.038) სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის

მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გოჩა კილაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 34-ხმით

3.4. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების სარგებლობის უფლებით გადაცემაზე ოზურგეთის მუნიციპალიტეტის მერისთვის თანხმობის მიცემის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს განკარგულების მისაღებად, საჯარო ადმინისტრაციული წარმოების დაწყების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

თანამომხსენებელი: გოჩა კილაძე

განკარგულება თან ერთვის

მიღებულ იქნა 34-ხმით

5. „ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ „ღია მმართველობა საქართველოს 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმით“ აღებული ვალდებულებების შესრულების ანგარიშის მოსმენის შესახებ“ - ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულოს მიერ ცნობად მიღების თაობაზე.

მომხსენებელი: დავით დარჩია

მომხსენებელმა დავით დარჩიამ ვრცლად ისაუბრა საანგარიშო პერიოდში, „ღია მმართველობა - საქართველოს“ 2018 - 2019 წწ. სამოქმედო გეგმის ვალდებულებების შესრულების შესახებ. მან აღნიშნა, რომ პროგრამის პრინციპები: ანგარიშვალდებულება, გამჭვირვალობა, საჯაროობა და ინოვაციური ტექნოლოგიების დანერგვა, მთლიანად ეხება საკრებულოს როგორც არჩევითი კოლეგიური მმართველობის საკანონმდებლო ორგანოს საქმიანობას, თუნდაც ბიუჯეტირების პროცესში. ოზურგეთის მუნიციპალიტეტი უკვე მეორე სამოქმედო გეგმის ვალდებულებებს ასრულებს. აღსანიშნავია, რომ 2018-2019 წლების სამოქმედო გეგმის შესრულება მუნიციპალიტეტმა პარტნიორ უწყებებთან, მათ შორის, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკასა და ადგილობრივ არასამთავრობო ორგანიზაციებთან ურთიერთთანამშრომლობის მეშვეობით გაფორმებით დაიწყო.

აღნიშნა, რომ ოზურგეთის მუნიციპალიტეტი და განსაკუთრებით, მუნიციპალიტეტის საკრებულო ქვეყანაში ერთ-ერთი მოწინავეა საქმიანობის გამჭვირვალობის და ღია მმართველობის პრინციპების გათვალისწინებულ მოთხოვნათა პრაქტიკულად რეალიზებაში და რომ ამით იქმნება გასათვალისწინებელი მაგალითები ქვეყნის სხვა მუნიციპალიტეტებისთვის. მუნიციპალიტეტმა აიღო ვალდებულებები: თვითმმართველობა განათლებისთვის, გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლება, სერვისების შეფასება. სხდომის თავმჯდომარემ, გაწეული მუშაობისთვის მადლობა გადაუხადა არასამთავრობო ორგანიზაციების წარმომადგენლებს: თ.დლონტს, ლ.ხინთიბიძეს, მ.სალუქვაძეს და გ.კილაძეს. აღნიშნა, რომ ამ უკანასკნელმა შექმნა პლატფორმა მუნიციპალიტეტის ვებგვერდისათვის. შემდეგ ისაუბრა ერთობლივად ჩატარებულ მუშაობაზე მუნიციპალიტეტის საჯარო სკოლებში მოსწავლე ახალგაზრდობასთან, ელექტრონული პეტიციის დანერგვაზე, რომელსაც დიდი გამოხმაურება მოჰყვა.

სერვისების შეფასებისა და მოქალაქეთა კმაყოფილების დონის განსაზღვრაზე პროგრესის სახლის მიერ, ხოლო საქართველოს დემოკრატიული კავშირისა და საკრებულოს აპარატის მიერ გამჭვირვალობისა და კეთილსინდისიერების ამაღლების სტრატეგიისა და სამოქმედო გეგმის შემუშავების მიზნით გაწეულ მუშაობაზე, ხაზი გაუსვა 2020-2021 წლების სამოქმედო გეგმას. აღნიშნა, რომ გაწეული მუშაობის შესახებ ინფორმირებულია ქვეყნის პრეზიდენტი და მთავრობა.

შემდეგ მოკლედ ისაუბრეს პარტნიორი ორგანიზაციების წარმომადგენლებმა-ლ.ხინთიბიძემ-საქართველოს დემოკრატიული განვითარების კავშირი-ეს მუშაობა, რომელზეც ილაპარაკა მომხსენებელმა, მოწოდებულია მოსახლეობის კეთილდღეობის ამაღლებისაკენ, თვითმმართველობის ღიაობისა და გამჭვირვალობის ინდექსით ოზურგეთის მუნიციპალიტეტი მეორე ადგილზეა ქვეყანაში, აუცილებელია დასახული გეგმის რეალიზაცია, საკრებულოს სხდომათა დარბაზი უნდა მოეწყოს თანამედროვე დონეზე.

ეროვნული ბიბლიოთეკის წარმომადგენელმა გ.კილაძემ აღნიშნა, რომ უპრეცედენტოა მუნიციპალიტეტისა და ბიბლიოთეკის ურთიერთთანამშრომლობა.

პროგრესის სახლის წარმომადგენელმა მ.სალუქვაძემ განაცხადა, რომ მისასალმებელია სამოქალაქო სექტორსა და მუნიციპალიტეტს შორის თანამშრომლობა, სერვისების შეფასების სამუშაოები კვლავაც გაგრძელდება.

გურიის ახალგაზრდული რესურსცენტრის წარმომადგენელმა თ.ლლონტმა განაცხადა, რომ ბევრი ინიციატივა იქნა განხორციელებული ოზურგეთის მუნიციპალიტეტში გამჭვირვალობისა და ანგარიშვალდებულების თვალსაზრისით, აღნიშნა, რომ თვითმმართველობა განათლებისათვის, ვალდებულება ემსახურება საზოგადოებრივი ცნობიერების ამაღლებას, სიახლე იქნება ის, რომ მასში ჩაებმება მეტი ახალგაზრდა.

საკრებულომ სხდომის თავმჯდომარის დ.დარჩიას წინადადებით, წარმოდგენილი ანგარიში მიიღო ცნობად.

საკრებულოს სხდომა დახურულად გამოცხადდა.

სხდომის დასრულების შემდეგ საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილემ, გ.ლურჯმელიძემ გააკეთა განცხადება საკრებულოს წევრებისათვის მოქალაქეებთან შეხვედრების გამართვის გრაფიკის თაობაზე.

დავით დარჩია

საკრებულოს თავმჯდომარე
ოზურგეთის მუნიციპალიტეტის საკრებულო